საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ახალსოფელი

ახალსოფელი, სოფელი თეთრი წყაროს მუნიციპალიტეტში, (ქვემო ქართლის რეგიონი), ბედენის ქედის ჩრდ. კალთაზე, მდ. ბზისწყლის (ალგეთის მარჯვ. შენაკადი) მარჯვ. ნაპირას. თემის ცენტრი (სოფლები: ა., გოხნარი, ზირბითი, საფუძვრები). ზ. დ. 1240 მ, თეთრი წყაროდან 45 კმ. 118 მცხ. (2014).

სოფლის ძვ. სახელია ბზა (ზა). „ა.“ უწოდეს XIX ს. დასასრ. ჩამოსახლებულმა მთიულებმა. სოფლის შუაგულში დგას წმ. გიორგის დარბაზული ეკლესია 2 მინაშენით, აგებულია ბაზალტის თლილი კვადრებით, უხვადაა შემკული ჩუქურთმებითა და რელიეფური კომპოზიციებით. ხუცურით შესრულებული წარწერის მიხედვით („..ადიდე მეფეთ მეფე ბაგრატი“ – ლაპარაკია ბაგრატ IV-ზე) ძეგლი თარიღდება XI ს-ით. იგი მოგვიანებით განუახლებიათ. ეკლესიის ირგვლივ სასაფლაოა, სადაც შემორჩენილია მრავალი საფლავის ქვა, ზოგზე ჩანს ხუცური წარწერა. სასაფლაოს დას. ნაწილში დგას შუა საუკ. ღვთისმშობლის პატარა ეკლესია, სოფლის მახლობლად კვირაცხოვლის ეკლესიის ნანგრევებია.

ლიტ.: ц и ц и ш в и л и и., მატერიალური კულტურის ძეგლები ქვემო ქართლის ისტორიულ-არქეოლოგიური ექსპედიციის მასალების მიხედვით, «ძეგლის მეგობარი», 1980, №54; Т а к а й ш в и л и Е. С., Археологические экскурсии, разыскания и заметки, в. 4, Тфл., 1913.